

შესავალი

(წიგნისთვის „არაბი მონარქები“)

მეთორმეტე წელიწადში ვიყავი, ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად რომ გავემგზავრე. ბევრი არაფერი ვიცოდი – არაბული, ცოტა ფრანგული და ის ამბები არაბთა შესახებ, რასაც პატარაობისას ლიბანში დედებისგან თუ მოისმენთ ხოლმე. „ჩემად, თორემ მოვიდა ბედუინი!“ ბედუინი, მომთაბარე არაბი – აი, რით აშინებდნენ ბავშვებს.

გავექეცი სამშობლოს. მეშინოდა მათი, ვის ენაზეც ვლაპარაკობდი, მძულდა ისინი, ვისი სისხლიც ძარღვებში მიჩქეფდა. შიში და სიძულვილი კი, მოგეხსენებათ, უვიცობის ნაყოფია.

მეგონა, ფრანგების მსგავსი ერი არ არსებობდა. თუმცა ჩემი წარმოდგენა შელამაზებული იყო. ფრანგული სკოლები იმრავლებდნენ მიმდევრებს ლიბანში – საფრანგეთი გამორჩეული ქვეყანაა უკეთესობილესი, უმდიდრესი, უდახვეწილესი ხალხითო, – ის სამყაროს ჭიპია, სინათლისა და სილამაზის დედაქალაქი, ფარშევანგია ერთა შორისო.

ამერიკას არც სკოლიდან ვიცნობდი, არც დედისგან. პირდაპირ ყოფის მიერ გამოწვდილი თასი გამოვცაღე – თასი, რომელიც ამერიკელ ხალხს პირთამდე აევსო. თუმცა ამით არ დაკარგულა ის, რაც პირველ ორ თასს გამოარჩევდა. ნიუ იორკში ყოფნისას ფიალა ფიალას მივაყოლე ყლუპ-ყუპად, მივიღე ჭრელი ცოდნა ათასგვარი მინარევით, რომელშიც თვალისმომჭრელი უგუნურებაც ერია.

შტატებში გატარებული ათი წლის შემდეგაც მალცებდა ამერიკელთა ენერჯია, შემართება, აქტიურობა, თავისუფალი აზროვნების, აზრის გამოთქმისა თუ მუშაობის უნარი. თან, მაშინებდა კიდევ აქ გამეფებული მატერიალისტური ბრძოლა, თავდაუზოგავი შეჯიბრი ამქვეყნიური ცხოვრების გზაზე. მიუხედავად ამისა, მეც იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. დასახულ მიზანზე, ყოველდღიური სწრაფვის ობიექტზე კონცენტრირებულს მეშინოდა კიდევ, რომ ამ ბრძოლაში გავიმარჯვებდი. საკუთარი თავი მეცოდებოდა სხვის უკან გადევნებულს, მუდმივად სხვისი დაწვევის მცდელობაში მყოფს.

დამავიწყდა საფრანგეთი, თუმცა მახსოვდა მისი ლიტერატურა, რომელმაც ცხოვრების სარბიელისთვის უსუსურ, მერყევ ადამიანად გამზარდა. ფრანგულმა ლიტერატურამ მომახუჭინა თვალის ყოველგვარ მატერიალურზე და ყველაფერი სულიერი, მორალური თუ გონებრივი ხელოვნების ესთეტიურობასა და სილამაზეში წარმომიჩინა. ნიუ იორკში ერთი სევდიანი ახალგაზრდა კაცი გავხდი, ხელოვნების

სიბლით გზააბნეული, წიგნით ხელში გულგრილად რომ დახეტილობს საზოგადოებრივ პარკებში. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ჩემ წინ მრავალფეროვანი, მრავალწახნაგოვანი ცოდნის კარები არ გაიღო და დელვა თუ გაურკვევლობა კიდევ უფრო არ მომემატა.

ინგლისურმა ლიტერატურამ მიმაბრუნა ინგლისელი ხალხისკენ, რომელიც მორალისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ ასპექტში ამერიკელებზე დახვეწილი მეჩვენა. ინგლისელებთან თითქოს მეტი მქონდა საერთო. ამ ცოდნამ მიხსნა გაამერიკელებისგან, მიმსგავსებისგან. შეერთებულ შტატებში ჩასული იმ არაბებივით არ შევიცვალე, ყველაფერში ამერიკელებს რომ ბაძავდნენ. ეს, პირველ რიგში, ინგლისელი ფილოსოფოსის ემერსონის დამსახურება გახლდათ. მისმა წიგნებმა ინგლისელთა ბუნებასა თუ სახიათზე ამ ხალხის საუკეთესო თვისებები დამანახა.¹

ემერსონმა გამაცნო თომას ქარლაილიც, რომელმაც ზღვიდან არაბული სამყაროსაკენ მიმაბრუნა. უცნაურია, მაგრამ სწორედ ინგლისელი მწერლისგან გავიგე დიდი არაბის – წინასწარმეტყველ მუჰამადის შესახებ.² მაშინ პირველად ვიგრძენი სიყვარული არაბებისადმი. მეტად დავინტერესდი მათი ისტორიით.

ჯერ კიდევ ინგლისურ ლიტერატურაში ჩაფლული ერთმა წიგნმა მომიხიბლა განსაკუთრებით. თავიდან მდიდრულმა გარეკანმა მიიქცია ჩემი ყურადღება, შემდეგ – სურათებმა, სათაურმა კი დიდი ვერაფერი მითხრა – არც სიყვარულისკენ მიბიძგა, არც სიძულვილისკენ. ასე წავიკითხე „ალ-ჰამბრა“³ და მივხვდი, რას გულისხმობდა ავტორი - „ალ-ჰამრა“ ხომ ძვირფასი ქვაა – ანდალუსიის არაბთა სამეფო გვირგვინის ერთ-ერთი მარგალიტი.

არაბულს სამყაროვ, ღმერთს არ ნდომებია, მთელი ცხოვრება ისე გამეღია, რომ ვერ გამეცანი. უფაღმა გამაცნო შენი თავი. მე კი შენგან შორსა ვარ. ინგლისელმა მოციქულ მუჰამადის შესახებ მიაგებო, ამერიკელმა შენი შეილების კეთილშობილება აღმიწერა.

„ალ-ჰამბრა“ წავიკითხე და ჩემს ამერიკულ-ფრანგულ-ინგლისურ გონების წყობას აღმოსავლური წარმოსახვაც შეერია. ვოცნებობდი გარდასულ დიდებაზე. წარსულ ეპოქას ვაცოცხლებდი და მასში საკუთარ თავს წარმოვიდგენდი ხოლმე.

ჩემს ქვეყანას სევდიანი დავუბრუნდი, ერთი წიგნის ამარა. მინდოდა, ის ერთი კი არა, ათას ერთი ყოფილიყო. მე კი ძალიან ცოტა რამ ვიცოდი ჩემს ენასა და მწერლობაზე. მის მიწისქვეშა გასასვლელებში თავდაუზოგავად დავძრომილობდი. გზას ვიკვლევდი ენის სიბნელესა და გაურკვევლობაში. სწორედ მაშინ გადავაწყვი

¹ English Traits by Ralph Waldo Emerson
² Heroes and Hero-Worship by Thomas Carlyle
³ The Alhambra by Washington Irving

აღ-ქისაის ჰუმანისტურ ლექსებს, სიბავეიჰს, ბასრას და ქუფას გრამატიკულ სკოლებს.

მას შემდეგ, რაც ინგლისელი ფილოსოფოსის წყალობით მოციქული მუჰამადი გავიცანი, აბუ-ლ-‘აღა აღ-მა‘არისაც გადავხედე. არაერთხელ წავიკითხე მისი „ლუზუმიათი“.⁴ გაოცებული დაერჩი. სიამაყე დამეუფლა იმ ერის გამო, რომელმაც შვა ასეთი ბრძენი, თავისუფალი და მამაცი პოეტი.

ამერიკაში დავბრუნდი. „ლუზუმიათიც“ თან წავიყოლე და თარგმნა დავიწყე. ამ საქმემ საჯარო ბიბლიოთეკის აღმოსავლურ განყოფილებამდე მიმიყვანა. სწორედ იქ შევხვდი აღმოსავლეთმცოდნეებს, რომლებმაც თვალწინ გრძელი მოგზაურობა გადამიშალეს. წარმომიდგინეს არაბი ბედუინების ქვეყანა, საიდანაც მუჰამად იბნ ‘აბდ აღ-ლაჰ აღ-კურაიში და იმრუ-ლ-კაის აღ-ქინდი ამოიზარდნენ... წინასწარმეტყველება, პოეზია, დაჰნას უდაბნო, ოაზისები ქვიშის ზღვებში... პალმები, რომელთა ტოტებში ნიაფი ჩურჩულებს, მათ ტანებს კი ძლიერი ქარები არხევს. ბედუინი გოგონა პალმების ჩრდილში ნაკადულის სილამაზეს უმღერის... რა უნდა ამ ყველაფერს ნიუ-იორკში?!

რა არის ნიუ იორკში ხმაურის, დაძაბულობისა და ტკივილის გარდა?!

ეს პელგრევივის მოგზაურობაა,⁵ რომელიც ერთმა ლიბანელმა (შემდგომში პატრიარქმა გრიგორიმ) თარგმნა, – შამშარის, აღ-კასიმისა და არ-რიადის შესახებ მოგვითხრობს. ის კი არაბისტი ბურჰარდტია, რომელმაც მექაში ისე იმოგზაურა, როგორც ნამდვილმა პილიგრიმმა და მართლმორწმუნე მუსლიმმა. აი, გამოჩენილი მეცნიერი რიჩარდ ბარტონიც. საოცარ ამბავს გვიამბობს სამარყანდელ ქსოვილებით მოვაჭრეზე, რომელმაც ხურჯინით ინდური თავთა და აბრეშუმი ატარა, ჰარემის აკრძალული საიდუმლო რომ შეეცყო, შემდეგ კი შეჯდა აქლემზე – მისი წინამძროლი ეშმაკი იყო – და იგივე გზა განვლო, რაც ბერჰარდტმა. ბოლოს ისეთი კასიდა დაწერა, რომ მისით მანამდე ჩადენილი ყველა საქციელი გამოისყიდა.

ჩარლზ დაუთი, რომელმაც ხალილი დაირქვა, ბედუინებს ქრისტიანობით აფრთხილებდა. მოგზაურობისას ბევრი რამ გადაიტანა, არაერთხელ გადაურჩა სიკვდილს. ავიწროვებდნენ, არ ღებულობდნენ, სდევნიდნენ, გაქურდეს, სცემეს, ჯიბეში ხუთი რეალის ამარა მიაგდეს. მიუხედავად ამისა, დაუთს გულში ვინმეს მოტყუება, ქურდობა ან თაღლითობა არც გაუფლია. დერვიში ხალილი თითქოს იზიდავდა ხიფათს და თავადაც ესწრაფოდა მას. ქრისტიანის შოტლანდიურმა,

⁴ აბუ-ლ-‘აღა აღ-მა‘არის ფილოსოფიური ლექსების კრებული (მთარგმნ.)

⁵ Central and Eastern Arabia by W.G. Palgrave

ფანატიზმში გადაზრდილმა პატრიოტიზმმა არაბების ისლამური ფანატიზმი გამოიწვია: „ურჯულო ხალიფ ან-ნასრანი!“ თავი მოჰკვეთეთ!“ მაგრამ ღმერთმა ის არაბეთის ნახევარკუნძულიდან ცოცხალი და უვნებელი გამოიყვანა, უკვდავი წიგნი რომ დაეწერა.

ყველა ეს უცხოელი ჩემი მამა-პაპის მიწაზე მოგზაურობდა. ისინი ცოდნის სიყვარულით საფრთხეში იგდებდნენ თავს, ნახულობდნენ დაფარულ ადგილებს, წმენდნენ ჟანგს, უახლოვდებოდნენ შორეულს – საყურადღებოს, სანუკვარისა და დახვეწილის საძიებლად მიემგზავრებოდნენ. მე კი ნიუ იორკში უხალისოდ დავიარები წიგნით ხელში, კარზე ვუკაკუნებ ქედმაღალ ინგლისელ-ამერიკელ რედაქტორს გრძელთმიანი და ფართომკერდიანი ლიტერატორი, რომელიც საკუთარ ნიჭს ყოველდღიური ჭორების წერაში ფლანგავს. საბეჭდი მანქანის გარშემო კი ერთმანეთს ჩახუტებული მოუსვენრობა და იმედი დამტრიალებენ... ოჰ, ეს ჭიჭყინა ცოლი! ლითონი, დიდების კარს რომ უკაკუნებს... რა შეიძლება იყოს უფრო ამაზრზენი, ვიდრე საბეჭდი მანქანის თაყვანიცემა და მსახურებაა?! საბოლოოდ გავეყარე მას, სამშობლოს დაგუბრუნდი და მოგზაურობისთვის მზადება დავიწყე, თავიდან რომ მომეცილებინა საბეჭდი მანქანაც და ჟურნალებიც, წიგნებიცა და მწერლებიც.

დამასკოში ერთი მეგობარი მყავდა. პოლიტიკის მძიმე ბორკილებს ეზიდებოდა, მათგან თავის დახსნას ლამობდა. ბოლოს დაამტვრია ეს ხუნდები, ხელისუფლების რისხვაც დაიმსახურა, რაც უპასუხოდ არ დაუტოვებია და ქვეყნიდან გაიქცა. ფურეიქაში კარგად მიიღეს, გულითადად დახვდნენ. მუჰამად ქურდ ‘ალიმ ერთი კვირა გაატარა ჩვენთან და ამ ერთ კვირას ნამდვილ საჩუქრად ვთვლიდით. ერთ დღეს მან გაიგონა ჩემი სიტყვები: „ფურეიქას ხეობა თავისუფლების აკვანი, მისი ქვაკუთხედია-მეთქი“ და მითხრა:

– ამაზე ნუ წამოვეგები, ამინ. ფურეიქას ხეობა არც ისე შორსაა დამასკოდან და ბეირუთიდან. ამ ქალაქებში კი მრავლად არიან მხდალები და სიბნელის მონები. თუ დაიხურჩულე, მადლობა ღმერთს, არაფერია, მაგრამ თუ ამას ხმამაღლა იტყვი, კლდეებიც კი გაიგონებენ და ორივეს დაგვასმენენ.

– მართალი ხარ, – ვუპასუხე, – თუმცა მე ამ ხეობიდანაც მივდივარ. მინდა არაბულ ქვეყნებში, უდაბნოში ვიმოგზაურო. სწრაფი აქლემით მოვცილდები ყოველგვარ ჩაგვრასა და სიბნელეს.

– ერთად წავიდეთ. – სიხარულით წამოიძახა ჩემმა მეგობარმა.

იმავე დღეს მოვილაპარაკეთ, სირიაში ჩამოსული ნაჯდელი⁷ ვაჭრებისთვის გვეთხოვა დახმარება. ისინი შეგვეშველებოდნენ მოგზაურობის მოწყობაში –

⁶ ან-ნასრანი (არაბ.) – ქრისტიანი (მთარგმნ.)

⁷ ნაჯდი – (არაბ. პლატო, მადლობა)– არაბეთის ნახევარკუნძულის ცენტრალური ნაწილი (762 მ-დან 1 525 მ-მდე სიმაღლის). ესაზღვრება პიჯაზს, იემენს, ბაჰრეინს, ერაყსა და სირიას. (მთარგმნ.)

მოგვცემდნენ სარეკომენდაციო წერილებს თავიანთ ახლობლებთან უდაბნოს გაღმა. მაგრამ დრო ხომ ოცნების მტერია. მხოლოდ იმ ოცნებას უწერია ახდენა, რომელიც უკვე მომწიფდა გულში. დამნაშავის ძიებაში ხელისუფლება ქურდ ალის კვალს დაადგა. მას სირიიდან ევროპაში მოუწია გაქცევა და ფურეიქაში მარტო დაერჩი. ქურდ ალიმ კი ცივილიზაციას გაუგო გემო. ვეღარ მიატოვა. აღმოსავლეთმა უხმო: „დაბრუნდი!“ და არაერთხელ დაბრუნდა კიდევ, თუმცა შემდეგ ისევ გაემგზავრა დასავლეთის ქვეყნებში. შედეგად მივიღეთ არაჩვეულებრივი წიგნი „დასავლეთის საოცრებანი“.

ბედისწერამ ისევ მომაშორა ფურეიქას ხეობასა და მთელ არაბულ სამყაროს, კვლავ ნიუ იორკში წამიყვანა. შემდეგ ყველა და ყველაფერი მსოფილო ომმა მოიცვა. მიწა შეირყა და მტვრადქცეული დახოცილი ახალგაზრდები მიიბარა. ხოლო მათში, ვინც გადარჩა, საბოლოოდ ჩაკვდა მშვენიერი ოცნება და იმედი.

თუ ოცნება ადამიანის ცხოვრების ნაწილად იქცა, არასოდეს მოასვენებს მას. და თუ საკმარისად მომწიფდა, იმდენს იზამს, რომ ადამიანი ყველაფერს იღონებს მის შესასრულებლად.

ომის დროს მთელი გულით თურქების წინააღმდეგ აჯანყებული არაბების მხარეს ვიყავი. მათთან ვიყავი მაშინაც, როცა ინგლისური ჟურნალებისა და არაბული გაზეთებისთვის სტატიებს ვწერდი. ამით იმ მოვალეობის ნაწილს მაინც ვასრულებდი, რასაც სიყვარული და აღტაცება აკისრებს ხოლმე კაცს. იმხანად ანდალუსია ვინახულე და ალჰამბრაში სწორედ იმ ოთახში გავჩერდი, სადაც ვაშინგტონ ირვინგმა თავისი შესანიშნავი წიგნი დაწერა. მომესმა ხმები, ჩემი ხალხის სახელით რომ მომიწოდებდნენ, თითქოს შთაგონების წყაროსკენ, წინასწარმეტყველების სამშობლოსკენ მექაჩებიანო.

მეფე ჰუსეინს დიდ პატივს ვცემდი. მან არაბები თურქებს აუმხედრა, ოთხივე ვაჟი ბრძოლის ველზე გაუშვა. ამერიკაში კი ყველა რუხველტით⁸ იყო მოხიბლული – მანაც სამივე შვილი სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენა. მაშინ ვთვქვი: „ეს ჰაშიმიანი დიდებულ ამერიკელს არაფრით ჩამოუვარდება“ - მეოქი. ომის დამთავრებისას მეფე ჰუსეინი ოცნებების ამსრულებელ ანგელოზად მყავდა წარმოსახული. სწორედ მაშინ, როცა ვფიქრობდი, როგორ მიმეწოდებინა მისთვის ჩემი ოცნება, მეგობრის – სალიმ სარქისის ჟურნალი მივიღე, სადაც ჰაშიმიანთა კურთხეულ კარზე მისი სტუმრობა იყო აღწერილი.

მაგრამ იმ დღეს სარქისისგან ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ამბავი შევიტყე, რამაც აღფრთოვანებითა და კმაყოფილებით ამავესო. ჩვენი ძველი მეგობარი, ერთი

⁸ თეოდორ რუხველტი – აშშ-ის პრეზიდენტი 1901-1912 წლებში.

იმათგანი, ხშირად რომ მსტუმრობდნენ ფურეიქაში ამერიკიდან მეორედ მიბრუნების შემდეგ და მომიწოდებდნენ საზოგადოებრივ რეფორმებზე, განათლებისა თუ აღზრდის საკითხებზე სტატიები მეწერა, კონსტანტინე იანი იყო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დაეკარგე – აღარ ვიცოდი მისი ამბავი. სარქისი თითქოს განგებამ გამომიგზავნა, რომ მას ეცნობინებინა ჩემთვის – კონსტანტინე მისი უდიდებულესობა ჰუსეინის კარზე მსახურობსო.

ვადიდე უფალი და ძვირფას კონსტანტინეს სასწრაფოდ მივწერე წერილი. მასში ორ სალამს შორის ას ერთი შეკითხვა დავსვი. პირველი შეკითხვა იყო – დამრთავს ნუ არა მისი უდიდებულესობა ნებას, რომ ვინახულო. ბოლოს კი ვკითხე კონსტანტინეს, თუ გამომყვებოდა მოგზაურობაში. თვენახევარიც არ გასულა, რომ მივიღე პასუხი. აი, რას მწერდა:

„ისე მოხდა, რომ შენი წერილი მაშინ მივიღე, როცა მისი უდიდებულესობა მეფე ჰუსეინი ჯიდდაში⁹ იმყოფებოდა. სიტყვა-სიტყვით წავუკითხე წერილი და დიდხანს ვბჭობდით მის გარშემო... როდესაც ჩამოხვალ, გულთბილ შეხვედრას მოგიწყობს. თუმცა ფიქრობს, რომ არ არის აუცილებელი მთელი არაბეთის ნახევარკუნძულის მოვლა. საშუალებას მოგცემს, მოიარო ჰიჯაზი¹⁰. მოგაწოდებს აუცილებელ ინფორმაციას, გიამბობს ყველა მოლაპარაკებისა თუ შეთანხმების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერა სხვა სახელმწიფოებთან აღორძინების პერიოდიდან¹¹ დღემდე, რათა არაბებზე ყველა თვალსაზრისით ამომწურავი წიგნის დაწერა შეძლო. ის თვლის, რომ თუკი შეისწავლი ჰიჯაზის¹² ტომების წეს-ჩვეულებებს, ამით ყველა სხვა ტომის ტრადიციებსაც გაეცნობი, რადგან ისინი გემოვნებითა და წესებით ჰგვანან ერთმანეთს. რაც შეეხება ერ-რიადში იბნ საუდთან შენს გამგზავრებას, ეს შეუძლებელია ჰიჯაზსა და მას შორის არსებული ხანგრძლივი მტრობის გამო. უკეთესი იქნება, თუ მოგზაურობას ზამთარში დაიწყებ. ის ოთხ თვეზე მეტ ხანს არ გასტანს მაშინაც კი, თუ ბაღდადში დასრულდება. რაც შეეხება მე, სიამოვნებით გამოგყვები, სადაც გინდა. ქააბაში არავინ შეგიშვებს გასაგები მიზეზების გამო. მთელი ეს მოგზაურობა ხუთას გინეაზე ნაკლები არ დაჯდება.“

ამ წერილის მიხედვით მკითხველი მიხვდება, მე რა შეკითხვებიც დავსვი. თხოვნასა თუ მოთხოვნებში არც სიფრთხილე გამომიჩენია, არც თავშეკავება. მაგრამ ამის გამო ნუ მისაყვედურებთ. არაბული სამყაროსგან ფიზიკურადაც შორს ვიყავი და ცოდნითაც. ასეთი მოგზაურობის შესახებ ყველაფრის გაგება მსურდა. თუმცა ჩემი შეკითხვა ქააბაში ჩასვლის თაობაზე (მე ქრისტიანი ვარ) ამერიკელს

⁹ დედაქალაქის შემდეგ სიდიდით მეორე ქალაქი საუდის არაბეთში წითელი ზღვის სანაპიროზე (მთარგმნ.)

¹⁰ საუდის არაბეთის ერთ-ერთი ცენტრალური რეგიონი, სადაც მდებარეობს წმინდა ქალაქები - მექა და მედინა (მთარგმნ.)

¹¹ იგულისხმება ე.წ. „არაბული რენესანსი“ XIX-XX სს-ის მიჯნაზე (მთარგმნ.)

უფრო შეეფერებოდა. ის ხომ მხოლოდ თავის ამერიკას იცნობს. მისთვის რომ ეთქვათ, ქრისტიანს არ აქვს უფლება მექაში წავიდესო, გაოცდებოდა დიდად. მე არც გამკვირვებია და არც ცუდ ხასიათზე დავმდგარვარ ამის გამო. უფრო მეტიც, თავს იმით ვინუგეშებდი, სურვილები მის უდიდებულესობა მეფესთან შეხვედრის შემდეგ შესრულდება-მეთქი. სხვაგვარად როგორ შეიძლება?! – ვფიქრობდი – ის ხომ არაბული ეროვნული აღორძინების ბელადი, დიდებული რეფორმატორი და არაბთა გადამრჩენელია. ერთი მხრივ, არიან სირიელი არაბი ქრისტიანები, მეორე მხრივ კი, არის ძმობა და თანაწილობა, როგორც აღორძინების მნიშვნელოვანი მონაპოვარი. ზოგჯერ რა უცნაური ოცნებები გვაქვს, როცა სხვის მიწაზე ვცხოვრობთ! რა შორს ვართ რეალობისგან!.. ვფიქრობ, ამაზე არარეალური სურვილები თვით მთვარიდან ან მარსიდან ჩამოსულებსაც არ ექნებოდათ.

კონსტანტინეს წერილში მკითხველის ყურადღება შეიძლება მიიპყროს მისი უდიდებულესობის სიტყვებმა იმის თაობაზე, რომ არ არის აუცილებელი მთელი არაბეთის ნახევარკუნძულის მოვლა. თუმცა მე გადავწყვიტე, ამ სიტყვებით თავი არ შემეზღუდა, რადგან ასე თუ ისე ვიცნობდი არაბული ქვეყნების გეოგრაფიას და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჰიჯაზის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე გაგლა ყველა არაბულ სახელმწიფოში, ან თუნდაც მათ უმრავლესობაში მოხვედრას სულაც არ ნიშნავდა. წერილში სხვა ბევრი ადგილიც იყო, სადაც შემდგომში შეცდომები, ან პოლიტიკური მიზნები თუ სიფრთხილე ამოვიკითხე. მითითებების დიდი ნაწილი მის უდიდებულესობა მეფეს ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, არ სურდა, ჰიჯაზის გარდა სხვაგანაც წავსულიყავი. კონსტანტინეც მიხვდა, როცა იემენი და ასირი მოვიარეთ, რომ ეს ტომები ერთმანეთისგან სამოსითაც განსხვავდებიან, ზნითაც და ადათ-წესებითაც. ისიც ჩემსავით დარწმუნდა, რომ შეუძლებელია არაბებზე ამომწურავი ნაშრომი მხოლოდ ჰიჯაზში მოგზაურობით დაწერო. გარდა ამისა, ჯილდადან აღენში გამგზავრებისთანავე ცხადი გახდა, რომ მითითებულზე ორჯერ მეტი თანხა გვეხარჯებოდა, მოგზაურობა კი წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდებოდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ნაჯდში ჩასვლის საშუალებაც მომეცემოდა. რაც შეეხება ერ-რიადში წასვლასა და იბნ საუდის მონახულებას, ეს, მაღლობა ღმერთს, არ აღმოჩნდა შეუძლებელი. თუმცა, როცა ახლა ამას ვიგონებ, მეცინება იმ გულუბრყვილობაზე, რომლითაც მის უდიდებულესობა მეფე ჰუსეინს ვთხოვდი, ჩემთვის ამ მოგზაურობაზე ნება დაერთო.

ეს წიგნი შეიცავს შვიდი არაბი ემირის ცხოვრების აღწერას (ჰუსეინ იბნ ალის გარდა). ყველა ისინი მონარქები არიან, თუმცა ტიტულები განსხვავებული აქვთ. ღვთის წყალობით, ერთმანეთზე არაფრით არიან დამოკიდებულნი. არც

იცნობენ ერთმანეთს. მეფე ჰუსეინსა და მის ვაჟს – ფეისალს თუ არ ჩავთვლით, მათ შორის (ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ცნობილ მეფეებს შორის) ვერ ნახავთ ისეთს, ვინც პირადად იცნობს მეორე მეფეს ან იცის სხვა რომელიმე არაბული ქვეყანა იმის გარდა, რასაც თავად მართავს.

არაბ მმართველებში დღეს არ არსებობს ისეთი, ვინც ყველა არაბულ ქვეყანაშია ნამყოფი. მათ შორის არ არის ისეთი, დარწმუნებით რომ იტყოდა: „არაბულ ქვეყნებს, მათ მმართველებს, მცხოვრებლებს, ტომებს, მათ ეკონომიკურ, სასოფლო-სამეურნეო რესურსებს, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას და სხვა საკითხებს ვიცნობ საქმეში ჩახედული პირებისგან ან პოლიტიკური მიზნებისგან თავისუფალი, იდეოლოგიურად მიუკერძოებელი განცხადებებიდან.“ ამ მხრივ, გამონაკლისები არ არიან არც მეფე ჰუსეინი, არც იმამი იაჰია და არც სულთანი ‘აბდუ-ლ-‘აზიზი, საუდის არაბეთის დინასტიიდან.

შესაძლოა, მათ შორის მეფე ჰუსეინი ყველაზე უკეთ იცნობს ამ ქვეყნების როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ისე მომთაბარეებს, მათ შეხედულებებსა და მიზნებს, უთანხმოებას, მმართველთა პოლიტიკას. ჰუსეინის მთავარი ქალაქი ხომ წმინდაა – ადგილი, სადაც მდებარეობს ქააბა, რომლისკენაც მუსლიმი პილიგრიმები არა მხოლოდ არაბული ქვეყნებიდან, მსოფილოს ოთხივე მხარიდან მოემართებიან ხოლმე. შესაძლოა ჰუსეინი ფლობს ინფორმაციას მეზობელი ალ-იდრისისა და იბნ საუდის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის შესახებ, რაც უნდა დახმარებოდა ჰიჯაზის მართვაში, მაგრამ ეს ცოდნა არა თუ რგებს მის არაბულ პოლიტიკას, არამედ არ არის გამორიცხული, რომ ვნებს კიდევ. იმის აღნიშვნა მსურს, რომ მართალია, მისი ცოდნა არ შემოიფარგლება ცნობებით ნაჯდისა და ასირის ტომების, მათი ადამიანური, სამხედრო, მატერიალური რესურსებისა და ავტორიტეტების შესახებ, ის მაინც ვერ სწვდება ალ-იდრისის მართვის სიბრძნესა თუ იბნ საუდის სულიერ-მორალურ ძალას. მეფე ჰუსეინის ორი გაბატონებული წარმოსახვაა – ნაჯის სულთნის განთქმული გონება, თუმცა მას ყურადღებას არ აქცევს, და ის, რომ სულთანს ტვინი არა აქვს. თავად ამ მეორე წარმოსახვისა უფრო სჯერა. განა შეიძლება ასეთი დამახინჯებული ცოდნით ურთიერთგაგებისა და მეგობრობის მიღწევა?

რაც შეეხება იმამ იაჰიას, ეჭვს გარეშეა, რომ ის ყველაზე უკეთ იცნობს იემენს, ასირს, ჰადრამუთს და ნაწილობრივ ჰიჯაზს, მაგრამ წარმოდგენა არა აქვს ახლანდელ ნაჯზე, მის სულთანზე, იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს იქ ხალხი – მომთაბარეები თუ ქალაქელები. იქნებ, საერთოდ, არც უნდა, რომ იცოდეს.

სულთანი ‘აბდუ-ლ-‘აზიზი არაბ მმართველებს შორის ნამდვილად ყველაზე უკეთ იცნობს ნაჯის, ჰიჯაზის, ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილის, მასკატის, ომანისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ტომებსა და ხალხებს, თუმცა იემენი საერთოდ არ აღეგებს. შესაძლოა, მისი პოლიტიკით დაინტერესდეს მხოლოდ. თუ ამ უძველესი ქვეყნის ტრადიციებზე და სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებზე

დაუწყებთ ლაპარაკს, იგივე იქნება, რომ სულ სხვა, არაარაბ ხალხზე გასართობად, თავშესაქცევად ელაპარაკოთ.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ არაბულ ქვეყნებში დღეს არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ყველა ეს ქვეყანა ეცოდინება. სამწუხაროდ, არც მთელს თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ვინმე, ვინც იცნობს ამ სახელმწიფოებს, იქაურ ვითარებას, პოლიტიკურ წყობას, ტომებს, სოფლის მეურნეობას, ვაჭრობას, ომებს, რომელსაც ისინი აწარმოებენ, მათ წინამძღვრებს, მმართველებს, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას. და მხოლოდ ინგლისის ხელისუფლებამ, უფრო ზუსტად კი, ბრიტანეთის კოლონიების სამინისტრომ იცის ეს ყველაფერი. რამდენიმე წელიწადში ერთხელ ისინი გამოსცემენ არაბული ქვეყნების ცნობარს¹³, რომელიც პოლიტიკური აგენტებისა და მოგზაურ მეცნიერთა ანგარიშებს ეყრდნობა. ყოველ ახალ გამოცემაში შეაქვთ შესაბამისი შესწორებები. თუმცა თუ საქმეში ადგილობრივი სპეციალისტები, სახელმწიფო საქმეებში კარგად გათვითცნობიერებული პიროვნებები ჩაერთვებიან, შეცდომების იქაც აღმოაჩენენ. ამასთან, ეს ცნობარი არ არის გათვალისწინებული ფართო მასებისთვის – არაოფიციალურ წრეებში ძნელად თუ წააწყდებით.

არა მგონია, რომ ინგლისის ხელისუფლების მოვალეობებში, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ინტერესებსა და სურვილებზე, არაბი მმართველების ერთმანეთისთვის გაცნობა შედიოდა, მათი განათლება იმაში, თუ რა ხდება სხვა არაბულ ქვეყნებში. ასევე არა მგონია, რომ ამ ამოცანას ვინმე არაბთაგანი გაართმევდა თავს, თუკი ჩემსავით არ იმოგზაურებდა.

და აი, ამ წიგნში ისე, რომ არც ქებას ველი და არც საყვედურისა მეშინია, ჩემს ბატონ არაბ მმართველებს ერთმანეთს ვაცნობ უფრო ახლოს, ვიდრე ეს ოფიციალურ დონეზეა შესაძლებელი. დაე, დარწმუნებულნი ბრძანდებოდნენ ჩემი ბატონები, რომ ამ ქებაში ვინმესთვის რამით სიამოვნების სურვილი, ან პირფერობის ნასახიც არ ურევია, ხოლო კრიტიკაში – ღვარძლი, სიძულვილი ან დამცირება. ჩემი მთავარი მიზანი ურთიერთგაგების მიღწევაა მეცნიერებასა და სანდო წყაროებზე დაყრდნობით.

როდესაც ნიუ იორკიდან გამოვემზგავრე, ჩემი მთავარი მიზანი პიჯახში, იემენში, ნაჯში მოგზაურობა იყო, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ სამ რეგიონში ყველა არაბული ტომი იქნებოდა თავმოყრილი, იემენში – კაჰტანის, პიჯახსა და ნაჯში კი ადნანის ტომის ორი შტო – მუდარი და რაბია.

¹³ Manual of Arabia – არაბული ქვეყნების ისტორიული, პოლიტიკური და გეოგრაფიული მონაცემების შემცველი ცნობარი, რომელსაც გამოსცემს კოლონიების სამინისტრო. ის ვრცელდება მხოლოდ დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ სააგენტოებში, კონსულებსა და ელჩებს შორის.

თუმცა პირველივე დაკვირვებამ მაიძულა, გადამეხედა ჩემი გეგმისთვის. ბოლოს ფაქტობრივად მთელი არაბეთის ნაკვეარკუნძულის მოვლა გადავწყვიტე.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიჯაზი ზემოთ ჩამოთვლილი სამი რეგიონიდან უმცირესია ფართობითა და მოსახლეობის რაოდენობით, უმნიშვნელოვანესია მდებარეობის თვალსაზრისით, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებში წამყვანი როლი აკისრია. მისი უდიდებულესობა მეფის წყალობით, ჰიჯაზი უკვე დიდი ხანია იქცა ადგილად, სადაც არაბი პატრიოტები, არაბული ერთობისათვის მეტროპოლები იყრიან თავს. მის შესახებ თითქმის ყველაფერია ცნობილი, ჰიჯაზი გადაშლილი წიგნია. და დღეს ყველაზე მთავარი ამ წიგნში, თუ არ ჩავთვლით, მექასა და მედინას, იქნება თავი სახელწოდებით „მეფე ჰუსეინი და არაბული აღორძინება“. მეც ამ ერთი თავით დაგეგმაყოფილდი, სხვა მხარეების ნახვა ვერ მოვახერხე.

ადანში ყოფნისას გადავწყვიტე ჰადრამუთსაც ვწვეოდი. ინდური გემების კომპანიაში სწორედ იმ ხომალდის კაპიტანს შევხვდი, რომელთან ერთადაც ჯაზანში¹⁴ გახლდით. ამჯერად გემი ჰადრამუთის პორტში – მუქალლაში მიემგზავრებოდა. კაპიტანს ვუთხარი:

– ისევ მინდა გამოგვევ.

გაეცინა:

– ეტყობა, სიცოცხლე არად გიღირს.

– ზაფხულში წითელ ზღვაში რის უნდა მეშინოდეს? – გავიკვირე.

– ეს ხომ მკვდარი სეზონია, მუსონების¹⁵ სეზონი. – მიპასუხა ინგლისელმა მეზღვაურმა. – მულლაქში არ არის ნავმისადგომი, სადაც გემის გაჩერება შეიძლება. შტორმი არ მოგვცემს საშუალებას, შუა ზღვაში ჩავუშვათ ღუზა. მოგეხსენება, წყნარ ზღვაშიც კი როგორია ჩემი პატარა გემი. არ გინდა ჰადრამუთი. გაითვალისწინე ჩემი რჩევა.

ძალიან დავმწუხრდი, მაგრამ კაპიტანს დავუჯერე. ჩემს წიგნში მოხვდა მხოლოდ მცირე ინფორმაცია ჰადრამუთის შესახებ, რაც ადანსა და აღ-ჰუდაიდაში იმუამად მყოფი მისი მაცხოვრებლებისგან მოვისმინე. ეს წიგნის ერთ-ერთი მთავარი ნაკლია.

¹⁴ ჯაზანი – წითელი ზღვის საპორტო ქალაქი, რომელიც საუდის არაბეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იემენის საზღვართან მდებარეობს (მთარგმნ.).

¹⁵ Monsoon [المنصون] – ქარი, რომელიც ზაფხულის თვეებში ქრის სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. მოაქვს წვიმები ინდოეთსა და იემენის სამხრეთში. ეს არის ძალიან ძლიერი ქარი, სამუშის – უდაბნოს ცხელი ქარის მსგავსი. ზღვებში იწვევს შტორმს.

მასკატი პირველი ქვეყანაა არაბეთის ნახევარკუნძულზე, სადაც შევიდნენ ევროპელები და ამერიკელები.¹⁶ ვფიქრობ, არაბული სული იქ უკვე აღარ არის. იმიტომაც არ მქონია მასკატში წასვლის სურვილი. თუმცა შეიძლება ვცდები და მომავალში გამოვასწორობ ამ უკვე მეორე ნაკლს.

ახლა ომანისა და კატარის – სანაპიროებზე გადაჭიმული სახელმწიფოების შესახებ დავწერ. მათ ბაჰრეინი და მასკატი ესაზღვრება. ამ ორი ქვეყნის შემადგენლობაში ოთხი თუ ხუთი დამოუკიდებელი საშეიხო შედის. ისინი რატომ არ მოვინახულე? მოკლედ გიპასუხებთ: დავიღალე. როცა ნაჯდიდან დავბრუნდი, აღმოვაჩინე, რომ წყურვილი უკვე მოკლული მქონდა, წყალმანკის გაჩენის შემეშინდა. ჩემი ტვინი და სული წყლით გაუღვნილი ღრუბლის ნაჭერს დაემსგავსა, რომელსაც ზედმეტი წვეთის დატევა ადარ შეეძლო. ჯერ კიდევ ბაჰრეინში ყოფნისას გადავწყვიტე, ერ-რიადის ძღვევამოსილ სულთანთან ვიზიტამდე ომანის სასულთნოები მენახა. ვერ შევძელი. ვწუხვარ იმაზე, რაც დაგეარგე, თუმცა ბევრი შევიძინე. კვლავ მაქვს იმედი, რომ მომავალში, თუ ღვთის ნება იქნება, ერთ-ორ ნაწილს დავუმატებ ჩემს წიგნს, სადაც ომანს, მასკატსა და ჰადრამუთს საკადრისს მივაგებ.

კიდევ ერთი ახალი ქვეყანა დარჩა არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომელიც ომისშემდგომი პოლიტიკის შედეგად აღმოცენდა. ამჟამად მას მეფე ჰუსეინის მეორე ვაჟი – ემირი ‘აბდ ალ-ლაჰი მართავს. ჩემის აზრით, ეს საემირო არ არის მყარი. ვფიქრობ, მანამდე იარსებებს, სანამ მას პირველი ემირი მართავს. დღეს ეს ქვეყანა რეალურად ჰიჯაზის ან პალესტინის ნაწილია. შესაძლოა ხვალ სწორედ მან მიიერთოს იორდანია, აქაბა და თაბუქიც. თუ პირველი უფრო სამართლიანია, მაშინ ყველაფერი ჰიჯაზზე თქმული მთლიანად ეხება ამ ქვეყანასაც. და თუ მეორე ვარიანტია უკეთესი, მაშინ მასთან ერთად პალესტინასა და სირიაზეც უნდა გვემსჯელა. ამ წიგნში კი ეს საკითხები არ განიხილება. თუკი დაყოფის პოლიტიკა გაიმარჯვებს და საემირო იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირზე განმტკიცდება, მაშინ წინასწარ ვუხდით ბოდიშს მის უდიდებულესობა ტრანსიორდანის ემირს, თუმცა თუკი იმ დროისთვის, ღვთის წყალობით, ცოცხლები ვიქნებით, დავვიანებითაც.

წიგნში წარმოდგენილი ბევრი საკითხი ზოგადად მთელ ისლამურ სამყაროს ეხება, კონკრეტულად – არაბებს, უფრო ევროპელებს აღელვებს, განსაკუთრებით კი – ინგლისელებს. მკითხველი მათ შესაბამის თავეებში ნახავს. ხოლო დანარჩენი

¹⁶ 1833 წლის 21 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების წარმოდგენელმა ედმუნდ რობერტსმა და მასკატის სულთანმა საუდ იბნ სუვაიდმა ხელი მოაწერეს სავაჭრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

ნაწილი მათთვისაა, ვისაც მოგზაურობა, მეცნიერება და ლიტერატურა ხიბლავს. ამასთან, თხრობის ისეთი ფორმა შევარჩიე, რომელიც მკითხველს ახლოდან დაანახებს, უკეთ გააცნობს იმას, რაც საკუთარი თვალთ ვნახე, საკუთარი ყურით გავიგონე, რასაც საკუთარი ხელით შევეხე. ჩემი მხატვრული ამოცანაა, მის წინაშე მომხდარის ცოცხალი სურათი წარმოვადგინო.

ყველაფერი ამ წიგნში – როგორი ჟანრისაც არ უნდა იყოს ის – მხატვრული თუ პუბლიცისტური, აღწერითი თუ კრიტიკული, – არის სიმართლე, თუმცა არა გაშიშვლებული სიმართლე, რადგან გაშიშვლება ცუდი აღზრდის მაჩვენებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა უცხო მიწაზე იმყოფებიან გამშიშვლებელიცა და გაშიშვლებულიც. მკითხველს, ღმერთმა უშველოს, ნუ დაავიწყდება, რომ მე არაბეთში წამოვედი შორეული ქვეყნიდან, სადაც სიშიშველე – როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით – ჩვეულებრივი რამაა. შემდეგ ინდოეთშიც ვიმოგზაურე, სადაც ადგილობრივები ჰაერთან შეხებას მიეჩვენენ და ზოგჯერ არაფერს იცვამენ მზისა და მტვრის ქსოვილის გარდა. და ყოველგვარი სიშიშველე მომბეზრდა. თუმცა, როდესაც სინამდვილეს ვმოსავ, ამით სულაც არ ვფარავ მას. მკითხველმა შეიძლება თქვას: „შენი პროტესტი გაშიშვლების წინააღმდეგ მხოლოდ მოხერხებულობა და ფანდიაო.“ ბოდიშს გიხდით იმისთვის, რომ შესაძლოა ტრაბახად მოგეჩვენოთ, საკუთარ ცოდვას რომ ვაღიარებ. დიახ, არის ამაში რაღაც იმ ხელოვნებიდან, რასაც ყოველთვის გმობდნენ ჩვენი რელიგიის მამები და რითაც ყოველთვის სარგებლობდნენ ქალები.

რა შეიძლება გავნოთ ცოტა ფერუმარილმა და სიფრიფანა შესამოსელმა? თუ შიშველი სიმართლე მშვენიერია, გამჭვირვალე ტანსაცმელში უფრო ლამაზი იქნება, და თუ ის ვინმეს ტკივილს აყენებს, ასეთ სამოსში ხომ მეტ ნაღველსა და სევდას აღძრავს. ნებისმიერ შემთხვევაში, ჭეშმარიტებას არაფერი აქვს საერთო არც ფანატიზმთან, არც ტენდენციურობასთან და არც ძაგებასთან. ამ მხრივ, ძვირფასო მკითხველო, შეგიძლია ის შიშველად ჩათვალო.

რასაკვირველია, წიგნში ზოგიერთი ადგილი შესაძლოა არასრულყოფილი ან მცდარი იყოს – როგორც ადამიანის ფიქრთა და საქმეთა დიდი უმრავლესობა, რადგან ნაკლოვანება არსებობს ყველაფერში, რაც ჩვენ გარშემოა და რაზეც ვფიქრობთ – ყველა შეცდომა ხომ ვერ გასწორდება. რაც შემეძლო, ყველაფერი გადავამოწმე და დავაზუსტე. რისთვის უნდა გთხოვოთ პატიება, თუ ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც შემეძლო?

თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი არაბი, ვინც წაიკითხავს ამ წიგნს, ახალს და სასარგებლოს მაინც იპოვის, რაც არ უნდა კარგად იცნობდეს არაბულ ქვეყნებსა და მის მოსახლეობას. ყველას მოგმართავთ, განსაკუთრებით კი, სირიაში, ეგვიპტეში, ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ თანამოკალმეებს, ჩემს ძმებს: – „წამომყევით ამ მოგზაურობაში. მე დაგაბრუნებთ იქ, საიდანაც ევროპეიზაციამ და ამერიკანიზაციამ წამოგიყვანათ, იმ რეალობაში, რომლის

ჩრდილიც ძველი არაბული ლიტერატურის ნაწარმოებებიდან გვეფინებოდა, იმ ჭეშმარიტებასთან, რომლის დაეიწყებაც უცხოეთში გატარებულმა დრომ გვაიძულა, მათთან, ვის შესახებაც ხშირად თავად არაბებმა არაფერი იციან, ასევე იმ დამახინჯებულ სინამდვილესთან, რომელიც ევროპელი მეცნიერებისგან ვიცით.

წამომყევით და მართალია, დარბ, თუმცა საოცარ ქვეყნებში დაგაბრუნებთ, იქ, სადაც უამრავჭირვარამგამოვლილი, მაგრამ მაღლიერი ხალხი ცხოვრობს, ამაყი და თავისუფალი ხალხი.

თანამოკაალმეებო, ლიტერატორებო, მწერლებო! დღეს სირიის თითქმის ყველა სკოლაში უცხო სული ბატონობს. ის ცდილობს სირიელები და ლიბანელები ენის გარდა ყოველგვარ არაბულს ჩამოაშოროს, – ენასაც გაურყენიდა, რომ შეექმლოს, რათა საბოლოოდ ჩაეკლა მათში მშობლიური მეტყველებისადმი სიყვარული. აი, ამ პრაქტიკას ჩვენს სკოლებში ჩვენივე სახელმწიფოების პოლიტიკა უჭერს მხარს, რითაც კიდევ უფრო იზრდება უფსკრული არაბ ხალხსა და არაბულ ქვეყნებს შორის. ნუთუ ჩავრჩებით იქ, სადაც ორმოცდაათი წლის წინ ვიყავით?“

მართლაც, სიძულვილი და შიში უცოდინრობის ნაყოფია, თუმცა ხდება ხოლმე, რომ უვიცობა შობს სიყვარულსა და აღფრთოვანებას. ღვთის ნებით, სული, რომელიც ჩვენი და არაბების დაცილებას ესწრაფვის, ვერასოდეს მიაღწევს წარმატებას. დრომ გამიფანტა არასწორად ჩამოყალიბებული შეხედულება ფრანგი ხალხის სრულყოფილების შესახებ. ღმერთმა ქნას, რომ ამ წიგნმა განაქარვოს ილუზია, რომელმაც არაბი თვით ჩვენ – არაბებს შიშისმომგვრელ საფრთხობელად წარმიგვიდგინა.

ამინ არ-რეიჰანი
ფურეიქა, ლიბანი
1924 წლის 27 მაისი

შემოქმედის სიბრძნე ადამიანისთვის მიუწვდომელია

ერთი ინგლისური ანდაზის თანახმად, „უცოდინრობა ბედნიერებაა“, თუმცა მწერლები და ლიტერატორები დაუღალავად აკრიტიკებენ უცოდინრობას და ამცირებენ გაუნათლებელთ. მათ სიმკაცრესა და პირდაპირობას გავუგებდი კიდევ, თავად რასაც წერენ, იმაში მაინც რომ ყოფილიყო რაიმე ცოდნასთან და ჭკუასთან ახლოს, ან თუნდაც შრომისა და კვლევა-ძიების ნიშნები, მაგრამ... მათზე ხალხში მთარუელ ჭორებს რაღაც დაეჯერება... განათლებულები გაუნათლებელთა უვიცობას იმდენად უპატივცემულოდ ეპყრობიან, რამდენადაც თავმომწონენი და მედიდურები არიან ისინი. თავი მოაქვთ ცოდნით, და თუ მათში მართლა მეცნიერი და მცოდნე გამოერია, წარბს აუწევენ და ცხვირს აუბზუებენ.

გაუნათლებლობა ხშირ შემთხვევაში მართლაც ბედნიერებაა. ლიტერატორების კრიტიკა და საყვედური კი არაფერია, თუ არა უბრალოდ ჩვევა ან სინღუნგის ერთ-ერთი გამოვლინება. ასეა, როგორ არა? ჩვენი მწერლების დიდი ნაწილი ყოველგვარ ბოროტებასა და ნაკულულოვანებაში გაუნათლებლობას სდებს ბრალს, მათ ყოველ გამონათქვამში კი, ჩვეულებრივ, თვითკმაყოფილება, ამპარტავნება, აღშფოთება და გარყვნილება გამოსჭვივის. მოდით, უფრო ღმობიერად მოვეპყრათ ადამიანის უვიცობას. იმაზე ხომ არავინ ამახვილებს ყურადღებას, რომ არსებობს უმეცრების განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც შემეცნება ბადებს. ამიტომ ის სიკეთეცაა, რომელიც არავის სძულს თვითმარქვია ლიტერატორებისა და სულელების გარდა. უმეცრების დადებით მხარეებს მხოლოდ ის აფასებს, ვინც შემეცნების გზას დაადგა და შედარებისა და შეპირისპირების გზით ჩასწვდა იმას, რაც არ მიიღწევა ამათგან მხოლოდ ერთ-ერთის საშუალებით.

ეს მოსაზრებები მას შემდეგ ჩავიწერე, რაც მკითხველთა და ლიტერატორთა ზოგიერთ გამოსმაურებას გავეცანი ჩემს პუბლიკაციაზე სათაურით „ლოცვა“. ჩემ საწინააღმდეგოდ გამოთქმული რამდენიმე მოსაზრება არავითარი სიახლით არ გამოირჩეოდა. წერდნენ, რომ ყოფიერების სისტემასა თუ მოწესრიგებულობაზე მსჯელობა უვიცობა და სისულელეა. მართალია, ფანატიზმსა და უღმერთობაში მე მდებდნენ ბრალს, მაგრამ მათი უკიდურესობები ჩემსას აღემატებოდა კიდევ. სახსენებლადაც არ ღირს ზოგიერთის პრიმიტიული სატირული გამონათქვამი, ან ლანძვა, რადგან ჩემს ყურადღებას არ იმსახურებს ის, რაც აზრისგან, ცოდნისგან და ჭკუისგანაა დაცლილი. რა განსხვავებაა ჩემსა და მათ შორის? მე იმათგანი გახლავართ, ვინც არ იცის, და იცის, რომ არაფერი იცის. ისინი კი იმათგანი არიან, ვინც არ იცის და არც იცის, რომ არ იცის.

უბედურება ცხოვრებაში უფრო მეტია, ვიდრე მცენარე – დედამიწაზე. ნუთუ ღმერთის სამყაროებს შორის საუკეთესოში ვცხოვრობთ? თუ ვიტყვით, რომ კი, მაშ, საიდან მოვიდნენ საცოდავები, ტანჯულები, სევდიანები, ნაღვლიანები, უბედურები,

უქონელები, ავადმყოფები და სნეულები, რომლებიც წლიდან წლამდე ტანჯვის ჭერის ქვეშ, ტკივილის კედლებს შორის ცხოვრობენ?! რამ გააჩინა ბედკრული, კატასტროფის მსხვერპლნი, დასავლეთის ფარაონების წყალობის ქვეშ მცხოვრები მილიონობით მონა ღვთისა?!

თუ ვიტყვით „არას“, მაშინ თავიდანვე რატომ არ გავჩნდით და რატომ არ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც ჩვენსაზე უკეთესია? განა ღვთიური სიბრძნე ხედავს, რა ხდება ყოფაში და ამ მდგომარეობას ზურგს აქცევს? ცოტაც და ისევ „კის“ ვიტყვით, სანამ თავს არ დაგვატყდება უამრავი შეკითხვა, რომელსაც მონანული და შეწუხებული სული დაბნეულ, დაუდგარ და ჩისში მოქცეულ გონებას დაუსვამს. მეც „კის“ ვამბობ შენთან ერთად, ჩემო ღვთისმომოშიშო, მორწმუნე მკითხველო, მაგრამ რა სიბრძნე დევს კიბოსა და ტუბერკულოზის, შავი ჭირისა და ქოლერის ბაცილის შექმნაში, სწრაფადგავრცელებადი მიკრობების წარმოქმნაში? იმაში, რომ ეს მემკვიდრეობითაც გადადის მამიდან შვილზე და მის შვილებზე? სამუდამოდ რომ შენარჩუნდეს? რა სიბრძნე დევს ვულკანების ამოფრქვევაში, ღვთის ათასობით მონის მოულოდნელად ამოუღეტაში ტაძარში მათი ღოცვის უამს?

რა სიბრძნეა უსაფრთხო ქვეყნებში ქარიშხლების ამოვარდნაში, ყველას ერთიანად რომ ნთქავს – ათასობით ცოდვილსა თუ უდანაშაულოს, ქალს, კაცს და ბავშვს, რომლებიც განურჩევლად იღუპებიან? რა სიბრძნეა საზოგადო ბოროტების სიკეთის მიკრობებით აცრაში? ნუთუ ღვთიურ ძალას არ შეუძლია, რომ სამყაროში ნამდვილი, სუფთა, ნაღდი სიკეთე გააბატონოს? რა სიბრძნეა წყალდიდობებში, უმეტესად მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში რომ ხდება?! რა სიბრძნე დევს მიწისძვრებსა და გრივალეებში, ყველაზე თავისუფალი და მართალი ცხოვრებით მცხოვრებთ შუაზე რომ გლეჯს? და რა სიბრძნეა, ჩემო ბრძენო მკითხველო, ყველა იმის საიდუმლო შეთქმულებაში, რომელსაც მგრძნობიარე სულისა არაფერი გაეგება, იმ ადამიანის სულის არ ესმის, რომლისთვისაც ღმერთმა ყველაფერი შექმნა და რისთვისაც დღე და ღამე დაიმორჩილა?! განა ტრაგედია, უბედურება, კატასტროფა და სტიქია კაცის უცოდინრობის ბრალია? განა ამის კვლევა ითვლება სისულელედ, ეს შეკითხვები კი – მკრეხელობად?

მოდე, ცოტა ხნით მაინც გაითავისუფლოს მკითხველმა თავი ყოველგვარი ნორმებისაგან, ცრურწმენისაგან და დასვას ეს შეკითხვები. საჭირო არ არის, ყურადღება მიაქციოს იმას, მწამს თუ არა ღმერთის. გამჭრიახი კაცი ისაა, ვინც მინიშნებიდან ცოდნას შექმნის, მითითებიდან კი – წიგნს. ჩემი ფარული, თუმცა აშკარა რწმენა ასეთი წიგნის სტრიქონებში და ამ სტრისქონებს შორისაა. ცოტა დაფიქრება მკითხველისთვის მიმინდვია.

მომავლის სახელმწიფო

სახელმწიფო პატარაა სამართლიანობის გარეშე, შეზღუდულია, უსარგებლოა ღვთისმოსაობის გარეშე. მისკენ ხალხი მოუწოდებს, მისით ხალხი ხარობს. განთიადი ორსულდება მისგან, სინათლე შობს მას. ცოდნის საძირკველზე იზრდება, ლიტერატურის, რელიგიის ძუძუთი იკვებება. ეს მომავლის სახელმწიფოა და ყველაფერი, რაც მოდის, ახლოა. მომავლის სახელმწიფო ბუნებრივი გეოგრაფიული საზღვრების მქონე ქვეყანაა, სადაც არ ესაქმება და არც სიტყვა ეკუთვნის იმას, ვინც ამ მიწაზე არ გაზრდილა. ხალხი ხარობს მისით. ეს განათლებული და სულიერი სახელმწიფოა, სადაც უსამართლობის კვალიც არ არის, სადაც მხოლოდ ერთგულება, მეგობრობა, ძმობა და მშვიდობა სუფევს. მისი მმართველები ბრძენნი, ფილოსოფოსნი და ხელოვანნი იქნებიან. ხალხი აირჩევს მათ. მისი მოწოდება იქნება: „სახელმწიფო მოსახლეობისთვის და არა მოსახლეობა სახელმწიფოსთვის.“ ხალხის სიხარული მომავლის სახელმწიფოს უკავშირდება.

მართალია, ზოგიერთი პოლიტიკოსი თუ ეკონომისტი ირწმუნება, მეცნიერება თავისი კვლევებით და გამოგონებებით მომავალში სახელმწიფოთა კეთილდღეობის გარანტია იქნებაო, მაგრამ საერთაშორისო იმპერიალიზმის რადიკალური მომხრეები თვლიან, რომ დიდი მომავალი მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს ეკუთვნით, აი იმათ, დროშები და ქვემეხები შავკანიანი, ყვითელკანიანი თუ თეთრკანიანი ხალხებისკენ რომ მიუმართავთ; პატარა სახელმწიფოები კი თანდათან გაქრება, განადგურდება, იმ გაბატონებულ ერებთან ასიმილირდება, უმრავლესობას რომ წარმოადგენნო. მათი სუვერენობა იმ დიდი ქვეყნების ჩრდილში დაიკარგება, ვისაც დღეს ცოდნისა და რევოლუციის კვერთხი უპყრიაო ხელთ. არის კიდევ სხვაგვარი ახსნა: დიდი სახელმწიფოები მიიზიდავენ პატარებს ისე, როგორც კომეტა მეტეორს, შთანთქავენ მათ. დასუსტებული ქვეყნების ხალხის დღევანდელი მდგომარეობა ამყარებს ამ შეხედულებას, მხარსაც კი უჭერს მას. ასე იქნება, სანამ მათზე მეცნიერების ჭეშმარიტი შუქი, ჯანსაღი თავისუფლება არ ამობრწყინდება. ცოდნასა და თავისუფლებას კი ეროვნება არა აქვს. თქვენ მოგმართავთ, ვისაც თქვენს ქვეყანაში თავისუფლების შუქურა აღვიმართავთ, ხოლო კოლონიებში მისი ფარდა ჩამოგიშვიათ - თავისუფლება თქვენი წინაპრების საკუთრება არ არის! თქვენ იმისიც გწამთ, ვინც შეიძლება გიღალატოთ. ცოდნასა და მეცნიერებას კი არავისთვის უღალატია, მხოლოდ იმას უმუხთლა, ვინც ცუდად გამოიყენა იგი. დღეს თქვენ გემსახურებიან, ბატონებო, ხვალ კი თქვენი მონებისა და მტრებისთვის იმსახურებენ. როდესაც ცოდნასა და განათლებას პატარა, დასუსტებული ერები მიიღებენ, მათი მიზანი თანდათან გაიზრდება, მათი ხელი გაძლიერდება. საკუთარი მიწის საგანძურს, თავიანთი სიმდიდრის ღირსშესანიშნაობებს შენიშნავენ და აუცილებლადაც ჩათვლიან ცოდნისა და თავისუფლების გზაზე შედგომას. რადგან არ არსებობს ერი, რომელიც განთიადის სინათლეში იდგა, შემდეგ კი წინ წაწევას წყვილიადში დაბრუნება არჩია.

წავიდა იმ პოლიტიკოსების და ეკონომისტების დრო, რომლებიც ფიქრობდნენ, სახელმწიფოს ხალხი, იდეები და მორჩილება აშენებსო. დღეს მთავრობას სულითა და ხორციით არ ემსახურებიან და არც ემორჩილებიან, თუ რაიმე განსაკუთრებული სარგებელი არ ექნებათ. მაგალითად, ბრიტანეთს რომ კოლონიები ჩამოართვა, ლონდონში ხელისუფლება შეირყევა, ჩაკეტილი სახელმწიფო უწყებების თანამშრომელთა, გულგრილ ჩინოვნიკთა მრავალრიცხოვანი ჯარი გამოიღვიძებს და ერთ დამეში ბოლოს მოუღებს მთავრობას. მაგრამ თუკი კოლონიებიდან საოკუპაციო ჯარებს გამოიყვანენ, ხელისუფლება მყისვე მის კანონიერ პატრონს დაუბრუნდება. იქ მომუშავე ადგილობრივთა რიდი არც მე მაქვს. ეს რიდი ჩვენ ან ევროპელებს რომ გვქონოდა, ხელისუფალთა სიკეთე დაქვემდებარებულზეც მოახდენდა გავლენას და კაპიტალისტებისა და არისოკრატების ინტერესს ერის ინტერესამდე აამაღლებდა. მაშ, თუ დაეუშვებთ, რომ ევროპული ქვეყნების ჯარები თავიანთი მმართველებისა და ოფიცრების საქმეებს გაიციხავენ კოლონიებში, ხელსუფლება მაშინვე მის ბუნებრივ მფლობელებს ჩაუვარდებათ ხელში (ბუნების სამართლიანობა ხომ კანონისაზე უპირატესია), უზარმაზარი სახელმწიფოების ჩრდილი კი მათივე აუთენტურ გეოგრაფიულ ცენტრებამდე შემცირდება.

დიახ, დიდი, ძლევამოსილი, ძალაუფლების მქონე, შემდგარი სახელმწიფოებიც დაპატარავდებიან, თუ ჯარები მათ მმართველებს არ დაემორჩილებიან, მაგრამ მათი საყრდენი მთლად მოიშლება, თუ კოლონიების მმართველებად ადგილობრივთა ნაცვლად თავიანთ წარმომადგენლებს დანიშნავენ, იმ ქვეყნის შვილებს, რომლის დროშები და საარტილერიო იარაღი დაპყრობილი მიწების თავზეა აღმართული. ეჭვს არ იწვევს ის, რომ რეგიონის მმართველები და კანცელარიის უფროსები კოლონიზატორთა მონები არიან, რომელთაც დღეს თუ თანამდებობიდან მოხსნი, ხვალ ხელისუფლებასთან დაპირისპირებისა და მისი დამხობის ინიციატორები გახდებიან. ამ ძალის სათავე დიდი, დიდებული მეფის დიდსულოვანი მოწადინებაა, თუმცა ეს არის ხელოვნური ძალა, რომელიც თანდათან მინავლდება, როცა კი ერებსა და ხალხებში განათლების გავრცელება იმატებს.

ყოველთვის, როცა სულიერად ძლიერდება ადამიანი, მისი მიზანიც იზრდება და მონღოლებაც მატულობს. დამეთანხმეთ იმაში, რომ ყოველთვის, როცა თვითონ ძლიერდება ადამიანი – არ ვამბობ, იმ მდგომარეობით, რომელშიც მეგობრებისა თუ ახლობლების წყალობით აღმოჩნდა, ან თანამდებობით-მეთქი, არამედ საკუთარი, გულიდან გამომავალი ძალისხმევით, იმ დაფარული, ღვთიური წყაროთი, რომელსაც ვერ სწვდება ვერც ხალხისა და ვერც მთავრობის ხელი; ყოველთვის, როცა მატულობს ამგვარი ჭეშმარიტი ძალა, რომელიც შორსაა პოლიტიკური სამყაროს ბოროტი, საძაგელი ძალებისგან, სხვა სიტყვებით: როდესაც კაცში ინდივიდუალური, თავისუფალი, სულიერი თვისებები გაჩნდება, ის გაექცევა პოლიტიკურ წისქვილს, რომელიც მისი სურვილების დაფქვასა და დანაწევრებას, მაღალი სულიერების, პიროვნულობის, ინდივიდუალობის განადგურებას ცდილობს.

დამეთანხმეთ, რომ ჩვენ დღეს აშკარად ვხედავთ ამ აღფლავების, გულისწყრომისა და გაუცხოების მსგავსს მათში, ვისი საყრდენიც მეფეა როგორც ჯარში, ისე საზოგადოებაში.

ისლამის გამოჩენის პირველ ხანებში ხარიჯიტები ამბობდნენ: „ერთადერთი ხელისუფალი ღმერთია“, მხოლოდ ღმერთი მართავსო. ამ ჭეშმარიტებას ისინი ღაღადებდნენ, ვისაც დაჯგუფება უმაგრებდა ზურგს, მარტონი არ იყვნენ. ამ დაჯგუფების ძლიერებას კი ხელს აძლევდა იმხანად შექმნილი პირობები, რომელიც სამუდამო არ იყო. დიდებული გამოთქმა „ერთადერთი ხელისუფალი ღმერთია“ არ ესადაგება ნებისმიერ საზოგადოებას და მის კანონებს, თუ საზოგადოების წევრებიცა და მმართველებიც ზედმიწევნით არ იცნობენ საკუთარ სულებს, არ იციან ქმნილებებსა თუ საგნებში გამოვლენილი ჭეშმარიტება ღვთისა, თუ არ აქვთ შეგნებული, რომ ძმის სამსახურით საკუთარ თავს ემსახურებიან.

„ერთადერთი ხელისუფალი ღმერთია“ ჩემთვის განხორციელებული იქნება, თუ მტკიცე რწმენა მექნება, თუ ღვთის მცნებებით ვიხელმძღვანელებ, გულითა და გონებით მივიღებ მას, ჩემი სულის კანონმდებელს, ჩემს ქმედებასა და ლაპარაკს რომ წარმართავს. რაში მდგომარეობს ღმერთის კანონი? რელიგიურ, სამეცნიერო წიგნებში ვპოულობთ მას, ფიზიოლოგიაში, მედიცინასა და ლიტერატურაში, შესაქმეში, წინასწარმეტყველთა უწყებებში და მეცნიერთა მითითებებში, ასევე ჭიანჭველაში და ცის ორბიტაზე, ადამიანშიც, თუმცა ამჟამად ეს არ არის ჩემი კვლევის საგანი.

თუ ადრეისლამურ ეპოქაში ხარიჯიტები ამბობდნენ, „ღმერთია ერთადერთი ხელისუფალი“, დღეს ევროპელ რეფორმატორებს დაუუინიათ, ხელისუფლება მხოლოდ დაჯგუფებებს აქვთო. რა სისულელეა! მიწიერი ლიდერების ყაყანს გვასმენინებენ მას შემდეგ, რაც ზეცაში ადამიანის ცეცხლოვანი ნაპერწკალი დაგვანახეს. და მაინც, ამ დაცემაში ღვთიური სიმაღლეებიდან მასების ძირებამდე პროგრესის ნასახსა და მმართველობის გაუმჯობესებას დავინახავდი, ლიდერებსა და რეფორმატორებს ოთხი მართლმორწმუნე ხალიფის ან მათი მსგავსების სულები რომ ჰქონოდათ. თუმცა, რაც ხარიჯიტებზე ვთქვი, შეიძლება თანამედროვე პოლიტიკურ დაჯგუფებებსაც შეეხოს, თუ მათი მეთაურების ღირსება, ერთგულება და გულწრფელობა მცირედით მაინც გაუტოლდება ხარიჯიტების ლიდერებისას. საქმე ისაა, რომ თანამედროვე პირობები, რომლებშიც დღეს ეს დაჯგუფებები აღმოჩნდნენ, და რომელსაც თავიანთ მოღვაწეობას უხამებენ, აღზრდა-განათლებით მიღებული კარგი მანერებითაა გაჯერებული. თუ ისინი არ დამორჩილდებიან ამ გარემოს, თავიანთ ღოზუნგს სახელს გაუთქვამენ, ის ბევრზე მოახდენს გავლენას. შედეგად, ეს დაჯგუფებები ხვალაც იქნებიან. ნამდვილად დადგება მათი დრო, რომელიც დიდი, ცოდვილი, დამნაშავე სახელმწიფოებისთვის კრიტიკული და რთული იქნება.

სახელმწიფოს გავლენა სუსტდება, რაც მეტად იზრდება დაჯგუფებების ძლიერ, სანდო წევრთა რიცხვი. ეს ის ადამიანები არიან, ვინც ძლიერდება შიგნიდან, საკუთარი შრომის, თავისუფლების ხარჯზე, საკუთარი ინტერესებით, სხვისი გავლენისგან თავის დაღწევით. ეს ის პიროვნებები არიან, რომლებიც სულიერად ვითარდებიან, სულიერს მატერიალურზე აბატონებენ. თუ მსოფლიოში ასეთ დაუმორჩილებელ რეფორმატორთა რიცხვი გაიზარდა, დამთრგუნველი და დაუნდობელი ხელისუფლება შესუსტდება, მისი დამღუპველი აჩრდილი კი თანდათან დაპატავდება.

ეს ყველაფერი განმიმტკიცებს აზრს, რომ მომავალი მხოლოდ პატარა ქვეყნებს ეკუთვნის, ისეთებს, რომლებიც დიდები არიან სამართლიანობით, მმართველთა ღირსეულობითა და მოუსყიდველობით, ფასეული და არა ცოდვილი დიდი სახელმწიფოების მსგავსი გეგმებით. მომავალი ადგილობრივ, სრულიად დამოუკიდებელ მთავრობებს ეკუთვნის. დარწმუნებული ვარ, რომ მომავლის სახელმწიფო თვითონ განვითარდება და საკუთარ თავს მოემსახურება. ის პატარა და შემოსახდველი იქნება, დიდი, საერთაშორისო პოლიტიკური ამბიციებისგან თავისუფალი, მხოლოდ თავისი ინტერესების მსახური. სახელმწიფო პატარა სამართლიანობის გარეშე. სულიერად განვითარებულ და გაზრდილ ქვეყანაში ვერ შეაღწევს უსამართლობა, მხოლოდ უსაფრთხოება, მშვიდობა იქნება გამეფებული. ასეთი სახელმწიფოს მთავარი პრინციპია: „სახელმწიფო ხალხისთვის და არა ხალხი სახელმწიფოსთვის.“

და ეს მომავლის სახელმწიფო მომავლის ქალაქშია. ამჟამად მისი ემბრიონი პატარა ერებში, მცირე დაჯგუფებებში იმალება. ყველაფერი, რაც დაფარულია, ადრე თუ გვიან გამოჩნდება, მოვა. ყველაფერი, რაც მომავალია, ახლოა. მისით ხარობს ხალხი.

არაბულიდან თარგმნა ნინო დოლიძემ